საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/535
02/02/2016

535-09-2-201602021739

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

დირექტორს, ბატონ ლევან უჯმაჯურიძეს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია 2015 წლის გაზაფხულზე მსოფლიოში ფრინველის მაღალპათოგენური გრიპის ვირუსით შექმინლი რთული ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო სააგენტომ მოგმართათ საქართველოში თურქეთიდან ვირუსის შემოჭრის რისკის შეფასების მიზნით. შედეგად, რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსა და სამსახურის მიერ ჩვენთვის დროულად იქნა მოწოდებული სამეციერო დასკვნა და გასატარებელი ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციები, ასახული: „ფრინველის მაღალპათოგენური გრიპის ვირუსის A(H5N1) რისკის შეფასების“ დოკუმენტში.

წარმოდგენილ დოკუმენტი ეფუძნება, საერთაშორისო (OIE, WHO, FAO) ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ რჩევებსა და სახელმძღვანელოებს და მასში გაანალიზებულია რისკის შემოჭრის ყველა პტენციური გზა და მისი პრევენციისთვის გასატარებელი აუცილებელი ალტენატიული ღონისძიებები. აღნიშნული რეკომენდაციები არის დროული და არსებული რისკებიდან გამომდინარე, შედეგად

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ვეთანხმებით მათი განხორციელების აუცილებლობას. გამომდინარე აღნიშნულიდან, რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების ფორმატში მიმდინარე 2016 წლის საკანონმდებლო აქტივობისა და ფრინველის მაღალპათოგენური გრიპის ვირუსის პრევენციის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში.

პატივისცემით,

ზაზა დოლიძე

ზაზა დოლიძე

სააგენტოს უფროსი